

# მ წ ე მ ს ი

მ უ ი ც ი ა ლ უ რ ი ნ ა წ ი ლ ი.

## უმაღლესნი ბრძანებანი.

შესახებ ხარჯისა შესანახად 1891 წლიდამ თექვსმეტის კრებულისა სუხუმის ეპარქიაში, აფხაზეთის და სამურდაყანოს სამრევლოებში.

სახელმწიფო საბჭომ, სახელმწიფოს საეკონომიოს დეპარტამენტში, განიხილა რა წინადადება უწ. სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგისა, შესახებ ხარჯისა შესანახად 1891 წლიდამ თექვსმეტის კრებულისა სუხუმის ეპარქიაში, აფხაზეთის და სამურდაყანოს სამრევლოებში, დაადგინა: მიეცემოდეს სახელმწიფო ხაზინიდან ყოველს წელს 1891 წლიდამ შესანახად თექვსმეტის კრებულისა აფხაზეთის და სამურდაყანოს საწრედლოისათა, სუხუმის ეპარქიაში, ათას ორმოცი თუმანი (10,400 მ.).—ეს ხარჯი მიეწეროს უწმიდესი სინოდის საფინანსო ვარაუდის § 6-ის 1-ს მუხლსა. აღნიშნული გარდაწყვეტილება სახელმწიფო საბჭოსი 22 იანვრიდამ 1891 წლისა უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა.

## უმაღლესნი წყალობანი.

ხელმწიფი იმპერატორმა, წარდგენისამებრ უწ. სინოდის ობერ-პროკურორისა მინისტრთა კომიტეტში, უწამდგომლობისა გამო მათის მაღალ ყოვლად უსამღვდლოესობისა, საქართველოს ექსარხოსისა, ყოვლად უმოწყალებად ინება, 19 იანვრს, 1891 წელსა, თანახმად ამა კომიტეტის დადგინებისა, დაჯილდოვება.—

## იმერეთის ეპარქიაში:

ა) ქუთაისის მაზრის, სოფ. კურსების მცხოვრებელის გლენის ლევანა ბერეკაშვილისა ოქროს მედალითა წარწერით მასზე «ერთგულობისათვის», დასაკიდებლად სტანისლავის ლენტით ყელზე.

ბ) ეკლესიათა სტაროსტების: მწვანეყვავილის წმ. მთავარანგელოზის ქ. ქუთაისის ეკლესიისა, მოქალაქის გლახუა ჩირაძისა და რაჰის მაზრის სოფლის ბუგეულის წმ. ლეთის-მშობლის ეკლესიისა გლახის სტეფანე ჭელიძისა ვერცხლის მედლებით წარწერით «ერთგულობისათვის», დასაკიდებლად სტანისლავის ლენტით ყელზე.

## პენსიის დანიშნა.

უმაღლესად დამტკიცებულის, 24 ოქტომბრიდამ 1876 წლისა, დებულებითა შესახებ უფლებათა

და უალრესობათა პირთა, რომელნიც მსახურობენ სასულიერო სასწავლებელში, გორის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად ნამყოფს ნადვორნი სოვეტნიკს, პავლე ბურჯანაძეს უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორისაგან, 21 თებერვლისას ამა 1891 წლისა, დაენიშნა პენსია ოც-და-ათი თუმანი (300 მ.) ყოველს წელს, 14 დეკემბრიდამ 1890 წლისა.

## ქართლ-იმერეთის უწმიდესის და უძმართველესის სინოდის კანტორისაგან.

პასუხად წერლოსა სემინარიის მმართველობისა, 13 თებერვლიდამ № 89-ით \*) , ქართლ-იმერეთია სინოდის კანტორას აქვს პატივი აცნობოს, რომ რღვან შეიღებს და შეიღოს-შეიღებს მღვდელთა და დიაკონთა, ძალითა უწმიდესის სინოდის უკაზებისათა 11 ივლისიდამ 1866 წ. № 30-ით; 30 აპრილიდამ და 11 სექტემბრიდამ 1871 წ. № 27-ით და 31-ით და მუხლთა 502 და 511 კრებულისა სამართლის რჯულისათა, შესახებ წოდებათა, გამოცემულისა 1876 წელში, აქეთ ერთგვარნი უფლებანი, ე. ი. უფლებანი მკვიდრის საპატივო მოქალაქეობისა, ამისათვის უფლებანიცა მათი შესახებ სწავლის ფასის შეტანისა, ცდრე ისინი ითვლებიან სასულიერო უწყებაში, უნდა იყვნენ ერთნაირნი. ხოლო უკეთუ მამები მღვდლის შეიღოს-შეიღებისანი (მღვდლის შეიღები), თანახმად თავიანთის თხოვნისა, თუ განკარგულებითა სასულიერო მთავრობისათა, დათხოვნილ იქმნენ სასულიერო უწყებიდან საერო უწყებაში, ან ითვლებიან, გარდა სასწავლო უწყებისა, სამოქალაქო სამსახურში, მაშინ მათი შეიღები (შეიღოს-შეიღები მღვდლისა) ვაჟის შთამომავლობაში არ შეიძლება იყვნენ განთავისუფლებულნი სწავლის ფასისაგან.

\*) მიიღო რა მსჯეველობაში უმაღლესად ბრძანება 20 ოქტომბრიდამ 1890 წლისა, შესახებ გადახდისა სწავლის საფასად სემინარიებში ოთხას თუმანისა წელიწადში სხვა წოდების მოსწავლეთაგან, სემინარიის მმართველობაში სთხოვს ქართლ იმერეთის კანტორას, რათა განემარტა: უნდა მიეთუალებენ კბრედ წოდებულნი მღვდლის შეიღოს-შეიღინი სასულიერო უწყებას, თუ ანა, რადგანაც უწმიდესის სინოდის უკაზმა, 11 ივლისიდან 1869 წ. № 30-ით, მღვდლის შეიღოს-შეიღების შესახებ არა ანის რა ნათქვამი; ხოლო თუ რომ საჭიროა მიეთუალებენ, მაშინ რა ნაირად: ვაჟის შთამომავლნი მარტო; თუ ქალის შთამომავლობისა.

ვირკულიალური წერილი უწმ. სინოდის ობერ-  
 პროკურორისა მათის ძაღალ ეოვლად უსა-  
 მღვდელთაოქსობის საქართველოს ექსარხოზის  
 სახელობასე.

1865 წელს უმაღლესის ნება-რთით შესდგა  
 ცალკე კომისია, გასარჩევად და აღსაწერად სინოდის  
 არხივისა. აწ, თანახმად უწმიდესის სინოდის განკარ-  
 გულებისა, ეს კომისია ადგენს კადეც «სრულს კრე-  
 ბულს მართლ-მადიდებლობითის აღსარების უწყების  
 წესდებულებათა და განკარგულებათა» და აღწერა  
 უწმიდესის სინოდის საქმეთა და საბუთთა». ამათ-  
 გან უკვე გამოცემულია: 7 ტომი «წესდებათა სრუ-  
 ლის კრებულისა» და 6 ტომი «აღწერათა», რო-  
 მელნიც შეიცავენ განკარგულებათა უმაღლესის სა-  
 სულიერო მართებლობისა შესახებ ეკლესიისა სა-  
 ზოგადოდ და ეპარქიათა კერძოდ. გარდა ამისა, ხსე-  
 ნებულნი გამოცემანი წარმოადგენენ დიდს მასალას  
 მონასტერთა, სობოროთა და ეკლესიათა ისტორი-  
 ისათვის და სჯულის კანონებისათვის, რომლებიც შე-  
 ადგენენ საფუძველს ასახსენლად სხვა-და-სხვა შემთ-  
 ხვევათა აწინდელის საეკლესიო ცხოვრებიდგან.

მსცან რა საჭიროდ და სასურველად, რათა,  
 როგორც კი შესაძლო იქმნება, უმეტესი გავრცელე-  
 ბა მიიღონ აღნიშნულთ კომისიის გამოცემათა მართლ-  
 მადიდებელ სამღვდელთა შორის, როგორათაც  
 საუკეთესო პირველ წყაროთა შესასწავლად რუსეთის  
 საეკლესიო ისტორიისა, უმორჩილესად გთხოვთ თქვენ,  
 მოწყალეო ხელმწიფე და მწყემსთ-მთავარო, მიიქ-  
 ციოთ ყურადღება რწმუნებულთ თქვენდამი ეპარქიის  
 სამღვდელთა ზემო-ხსენებულთ გამოცემათა. ზედა  
 და მისკეთ რჩევა შესაძინებლად მონასტერთა, საკრე-  
 ბულო ტაძართა და სასულიერო სასწავლებელთა  
 წიგნთ-საცავთათვის.

ამასთან ვალად ვრაცხ დაუერთო სია ყველა  
 კომისიის გამოცემათა და პირობანი, რომლითაც შე-  
 იძლება მათი შექენა.

ამ წერილზე დადგენილ იქმნა შემდეგი რეზო-  
 ლიუცია მათის ძაღალ ეოვლად უსამღვდელთაოქსობის,  
 საქართველოს ექსარხოზის, პალატისაგან: „1891 წ.  
 აპრილის 2-სა დღესა: დაიბეჭდოს ეს წერილი „სა-  
 ქართველოს საქსარხოზის სასულიერო მოამბე“-ში  
 კომისიის გამოცემათა სიითურთ, ჩემის მხრივ ვურ-  
 ჩევ გამოწერას ამა ფრიად სასარგებლო გამოცემათა  
 წიგნთ-საცავთათვის მონასტერთა, სობოროთა და  
 სასულიერო სასწავლებელთა.

სინოდის წიგნების სავაჭრო სახლებში ქ. ქ.  
 მოსკოვსა და ს.-პეტერბურგში ისყიდება:

სრული კრებული რუსეთის იმპერიის მართლ-  
 მადიდებლობითის აღმსარებელის უწყების წესდებუ-  
 ლებათა და განკარგულებათა.

მხედრულად დაბეჭდილი, 8-დ შეკეცილს თახსზედ:

- I ტომი (1721 წ.) პირველს გვარას  
 საბეჭდავ ქალაღზედ დაბეჭდილი. ყლით 1 მ. 40 კ.  
 თეთრს > > 1 >
- II ტომი (1722 წ.) პირველის გვარის  
 საბეჭდავ ქალაღზედ, დაბეჭდილი. ყლით 2 მ. 40 კ.  
 თეთრს > > 2 >
- III ტომი (1723 წ.) პირველის გვარას  
 საბეჭდავ ქალაღზედ, დაბეჭდილი. ყლით 1 >  
 თეთრს > > 75 კ.
- IV ტომი (1724—1725) პირველ. გვარას  
 საბეჭდავ ქალაღზედ, დაბეჭდილი. ყლით 1 » 60 კ.  
 თეთრს > > 1 > 20 >
- V ტომი (1725—1727 წ.) პირვ. გვარის  
 საბეჭდავს ქალაღზედ, დაბეჭდილი ყლით 2 >  
 თეთრს > > 1 > 50 >
- VI ტომი (1727—1730 წ.) პირვ. გვარის  
 საბეჭდავ ქალაღზედ, დაბეჭდილი ყლით 1 > 80 >  
 თეთრს > > 1 > 40 >
- IV ტომი (1730—1732 წ.) პირვ. გვარის  
 საბეჭდავ ქალაღზედ, დაბეჭდილი ყლით 2 » 40 >  
 თეთრს > > 2 >

აღწერა საბუთთა და საქმეთა, რომელიც ინახება  
 უწმიდესის სინოდის აჩხივში.

მხედრულად დაბეჭდილი, 8-დ შეკეცილს თა-  
 ხანის თეთრს ქალაღზედ:

- I ტომი (1542—1721 წ.) დაბეჭდ. ყლით 4 მ.
- II ტომი (1721 წ.) 1 ნაწილი > 5 >  
 > (1722 წ.) 2 ნაწილი > 2 > 80 >
- III > (1723 წ.) დაბეჭდილი ყლით 4 >
- IV > (1724 წ.) > > 2 > 80 >
- VI > (1726 წ.) > > 3 > 50 >
- VII > (1727 წ.) > > 2 > 30 >

შეელა ეს წიგნი საეკლესიო და სასწავლებელ-  
 თა წიგნთ-საცავთა დაეთმობა ფასის დაკლებით 15%  
 და უსასყიდლოდ გავგზავნება დანიშნულებისამებრ.

# მწყმესი



მე ვარ მწყმესი კეთილი: მწყმესიან კეთილმან სული თვისი დაქსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედელი. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოველით ჩემდა ყოველნი მასურალნი და ტვირთ-მამიყენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 8

1883-1891

30 აბნალა.

გ ა ზ ე თ ი ს . თ ვ ა ს ი :			
«მწყმესი»			
12 თოვით	5 მან.	12 თოვით	6 მან.
6 —	3 —	6 —	4 —
ფულისა და წერილების გაზაგანა შეიძლება ამ ადრესით 6x Квирилы, Вx редакцію „Микемси“ и „Пастыр“.			

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავთ გამოგზავნილნი ვრცლად და გასაცემად უნდა იყენენ ბეტროთაგან ხელ-მოწერილნი. სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მაისი ხარჯით უკანვე დაუბრუნოს. სტატიები მიიღებიან რუსუდ.ს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## სწორად მშვენიერი განაპარგულება.

ჩვენ არა ერთხელ მიგვიქცევია მთავრობის და ზოგიერთთა მოთავე პირების ყურადღება ჩვენი გიმნაზიების საღმრთო სჯულის მასწავლებლების უზომო და არა ჩვეულებრივ სამსახურზე. აი საქმე რა შინა. ყველამ იცის, რომ ღღემდის ჩვენს გიმნაზიებში ხშირად საღმრთო სჯულის მასწავლებლებად ინიშნებოდნენ საკათედრო და სამრევლო ტაძრების წინამძღვრები. ეს პირნი ერთსა და იმავე დროს შტატის ორ თანამდებობას ასრულებდნენ და ორივე ადგილს ჯამაგირებს იღებდნენ. ზოგიერთ ადგილას ეს პირნი ამა-

საც არ სჯერდებოდნენ და მზად იყენენ, რომ მესამე და მეოთხე ადგილსაც მიეღოთ შტატის თანამდებობა. ყველასათვის ცხადია, რომ ერთსა და იგივე პირს ერთსა და იმავე დროს ორი და სამი შტატის თანამდებობაზე სამსახურის რიგიანად აღსრულება არ შეუძლია. ჩვენ ყოველთვის გვიკვირდა და ღღესაც გვიკვირს, თუ როგორ ასრულებდნენ ეს პირნი თავიანთ მოვალეობას მათდამი რწმუნებულს ეკკლესიებში და ამავე დროს გაკვეთილების მიცემას ორ-სამ ადგილას. ყველასათვის ცხადია, რომ ამ პირთ ერთსა და იმავე დროს სხვა და სხვა თანამდებობაზე რიგიანი სამსახურის გაწევა არ შეეძლოთ. მაგრამ მათ ხელს უწყობდა ზოგიერთი სასწავ-

ლებლების უფროსებისაგან საღმრთო სჯულის აბუჩად აგდება. ამ უფროსებს უფრო დიდი ყურადღება ჰქონდათ მიქცეული კლასიკური ენების სწავლებას და რას აკეთებდნენ საღმრთო სჯულის მასწავლებელნი კლასებში, ამას დიდად არ ნაღვლობდნენ. ამავე დროს მრევლის მხრითაც არაერთი დრტინება და საყვედური არ ისმოდა, თუმცა მათი მწყემსნი მუყიათად და ბეჯითად არ ასრულებდნენ თავის მოვალეობას მათდამი რწმუნებულ ეკლესიებში.

რამდენათაც კაცი ბევრ ჯამაგირს იღებს, იმდენათ ბევრი მოთხოვნილება უჩნდება. ამისათვის ზემო მოხსენებულნი პირნი მუდამ თავის შემოსავლის გადიდებაზე ჰფიქრობდნენ. როცა თქვენ მათ თანამდებობათა აღსრულების სიძნელეზე ჩამოუგდებით ლაპარაკს, გეტყვიან: «ღვთის შეწევნით და თქვენის წყალობით, შეძლებისა და გვარად, ვეცდებით».

ძანონით დაწესებულთა, რომ ოცი და ოცდახუთი წლის სამსახურის შემდეგ დაღალულ მოსამსახურე პირთ ეძლევათ სრული ჯამაგირი პენსიად. ამაზე მეტი მოწყალება კიდევ იქნება! მაგრამ ამას ვინ ვერდებოდა! ეს პირნი ისევე რჩებოდნენ სამსახურში და ერთსა და იმავე დროს პენსიასაც იღებდნენ და ჯამაგირებსაც. ამავე დროს მათდამი რწმუნებულ ეკლესიებში დაწესებულ ჯამაგირებსაც ხელუხლებლად იღებდნენ. ეს პირნი უკანონოდ რაცხდნენ მათი ჯამაგირების შემცირებას, რადგან მათი ხარჯი ამ შემცირებას ვერ აიტანდა. მაგრამ იმას კი აღარ დაეებდნენ, რომ საქმის საზარალოდ ერთ კაცს ეკავო ორი-სამი კაცის ადგილი და სხვანი კი ულუკმაპუროდ რჩებოდნენ.

ამგვარ შეუსაბამო საქმის მდგომარეობას ამას წინად ყურადღება მიაქცია უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ და მოახდინა მშვენიერი განკარგულება, რომლის ძალით საკრებულო და სამრევლო ტაძრების წინამძღვრებს აღეკრძალათ საღმრთო სჯულის თანამდებობის მიღება გიმნაზიებში. ეხლა ამავე საგნის შესახებ უწმიდესი სინოდისაგან გამოიცა უქაზი, რომლის ძალით საღმრთო სჯულის მასწავლებელნი, რომელთაც პენსია აქვსთ დანიშნულნი, დათხოვნილ

უნდა იქმნენ თანამდებობიდამ. მოგეყავს აქვე ეს დადგენილობა:

«უქაზითა მათის იმპერატორებითი უდიდებულესობისა, უწმიდესმა და უმმართველესმა სინოდმა მოისმინა: სინოდის ობერ-პროკურორის წინადადება, 7 თებერვლიდგან ამ წლისა № 627—ით, შესახებ აღძრულის საერო განათლების სამინისტროსაგან კითხვისა, თუ რა რიგად უნდა მოვიდეს აღსრულებაში უქაზი სინოდისა, 26 მარტიდგან 1890 წ. №-ით 5, გიმნაზიების საღმრთო სჯულის მასწავლებელთა შესახებ. ბრძანებს: მოისაზრა რა აღძრული საერო განათლების სამინისტროსაგან კითხვა, და მიიღო რა მხედველობაში სასულიერო სამოსწავლო განმგებობისაგან წარმოდგენილნი ცნობანი შესახებ სასულიერო აკადემიების კანდიდატთა, რომელნიც, უქონლობისაგამო თავისუფალი ადგილისა, არიან დაშთენილნი სასულიერო-სამოსწავლო უწყებაში უადგილოდ, უწმიდესმა სინოდმა ჰაცნა თავისს მხრივ გამოცემა საღმრთო სჯულის მასწავლებელთა წლის განმავლობაში მოუხერხებლად და განაწესა: 1) საღმრთო სჯულის მასწავლებელნი, რომელნიც უნდა დათხოვნილიყვნენ სამსახურიდგან, ძალითა უქაზისათა 26 მარტიდგან 1890 წ. № 5-ით, დაჩნენ, თანახმად აზრისა საერო განათლების სამინისტროისა, თავისს თანამდებობაზე წლიევან ფელის სამოსწავლო წლის დამლევამდე და 2) ეთხოვოს საერო განათლების მინისტრს მოახდინოს განკარგულება დათხოვნილთაგან გიმნაზიებში სამსახურიდამ წლიევანდღეს სამოსწავლო წლის გასულს იმ საღმრთო სჯულის მასწავლებელთაც, რომელნიც, საპენსიო ვადის შესრულების გამო დაშთენილნი არიან გიმნაზიებში ხუთის წლით, რისათვისაც დაევალოს სინოდის ობერ-პროკურორის აცნობოს გრაფს დელიანოვს, ხალო საუწყებლად და სახელმძღვანელოდ სასულიერო განმგებობის მხრივ გაეგზავნოს ეპარქიის მღვდელ-მთავართა დაბეჭდილნი უქაზნი. მარტის 19-სა დღესა 1891 წელსა».

სწორედ სასიხარულოა, რომ ჩვენი უმაღლესი სასულიერო მართებლობა ყოველივე ღონეს ხმაობს, რათა რიგიანი წეს-წყობილება დაამყაროს სა-

სულიერო უწყებაში და მასთან მკაცრ ყურადღებას აქცევს საერო უწყებაში მოსამსახურე სასულიერო პირთა მოქმედებას. სრული იმედია, რომ ეს განკარგულება ვააცხოველებს საღმრთო სჯულის სწავლების საქმეს სასწავლებლებში და გზას გაუხსნის მრავალ ნიჭიერ და ენერგიულ მუშაკთა, რომელნიც ულუკმაპუროდ არიან დაშთენილნი.

**დეკ. დავით ღამბაშიძე.**

**სიკვდილი იუდა გაამცემლისა.**

ახალს აღთქმაში ორი მოთხრობაა იუდა გამცემლის სიკვდილის შესახებ. წმ. მახარებელი მათე (25, 5) ამბობს, რომ გამცემელმა დააბნია ვეცხლი იკი ტაძარსა მას შინა წინაშე მღვდელთ-მთავართა, და წარვიდა და დაიღრჩოო. წმ. მოციქული პეტრე თავის სიტყვაში, რომელიც მან უთხრა 120 მირწმუნეთ მეთორმეტე მოციქულის ადრჩევის დროს ნაცვლად იუდასი, მოგვითხრობს იუდა გამცემლის სიკვდილზე შემდეგს: როცა მან (იუდამ) განსივნა და განსქდა შორის, და განიბინეს ყოველნი ნაწლენი მისნი (სამქ. მოც. 1, 18).

სადმრთო წერილის განმმარტებელნი სხვა და სხვა ნაირად ხსნიან იმ უთანხმოებას, რომელიც ერთის მხრით, არსებობს ამ ორ მოციქულის მოთხრობათა შორის იუდას სიკვდილის შესახებ. მაგრამ ამ მოთხრობათა შორის არა ვითარიმე უთანხმოება არ არის, თუ კარგად დაუკვირდებით საქმეს.

წმ. მახარებლის მათეს მოთხრობისაგან სჩანს, რომ იუდამ თავის მოსაკლავად ადირჩია თავის დახრჩობა. მოციქულის სიტყვებს: «წავიდა

და დაიხრჩო» ამტკიცებს ძველი დროის ზეპირ მოთხრობა, რომელიც დაწერილია აპოკრიფიულ ეპისტოლეებში. ნიკოდიმოსის აპოკრიფიულს სახარებაში, სხვათა შორის, სწერია შემდეგი საინტერესო მოთხრობა:

«როცა მღვდელ-მთავრებმა არ შეიწყნარეს იუდას წინადადება, მაშინ მან დააბნია ვეცხლი მათ წინაშე, და წავიდა სახლში, რომ გაეკეთებია თავდასახრჩობი ბაწარი. როცა სახლში მივიდა, იუდამ ნახა, რომ მისი ცოლი მამალსა სწვავდა შამფურზე. ცოლს უთხრა იუდამ: მოძებნე ჩემთვის ბაწარი, რომ თავი დავიხრჩო, რადგან მე ამისი დირსი ვარ. მე ნამდვილად გავიგე, რომ უმართლოდ გავეცი მასწავლებელი იესო. ის, ეს არის, წაიყვანეს პილატესთან, რათა სიკვდილით დასაჯონ, მაგრამ იგი მესამე დღეს აღსდგება და მაშინ ვაი ჩვენი ბრალი! ამაზე ცოლმა მიუგო იუდას: რას ღაპარაკობ, ნუ თუ მაგ გჯერა? როგორც ეს მამალი, რომელიც ავერ ცეცხლზე იწვის, არ აღსდგება, ისე არც იესო აღსდგება. სანამ ამ სიტყვებს გაათავებდა იუდას ცოლი, მამალმა გაიქნია ფრთები და სამჯერ დაიყვილა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააორკეცა იუდას შიში, მან მაშინვე გამოამარყუჟა ბაწარი, გადიცვა კისერზე და ჩამოეკიდა ხეზე».

ამიტომ იუდა უოველთვის გამოხატულია ჩამოკიდებული ბაწარზე, რომელიც მიბმულია რაღაცა ფოთლებით დაფარული ხის ტოტზე. ზეპირ-გადმოცემისაგან სჩანს, რომ იუდა ჩამოიხრჩო ხეზე, რომელიც იდგა ხრამის ნაპირას. ამბობენ, რომ ის ხე, რომელზედაც იუდამ თავი ჩამოიხრჩო, იყო ვერხვი, რომლის ფოთლები იმ დღიდან მუდამ თრთოლავენ. ნას-

წავლნი პირნი კი ამ აზრის წინააღმდეგნი არიან და ამბობენ, რომ პაფესტინაში სრულებით არ ხარობს ვერხვიო. მაგრამ ეს აზრი შესაწყნარებელი არ არის. პაფესტინაში ხარობს სხვა და სხვა გვარი ალვის ხე. სმიტის «დაბადების ლექსიკონში პირდაპირ არის ნათქვამი: «ალვის ხე, განსაკუთრებით ვერხვი ხშირად ხარობს მდინარეების პირად». — პაფესტინაში ალვის ხე იზრდება ძალიან მაღალი და აქვს სწორი და უროგო ღერო; მისი ფოთლების ქვედა პირი თეთრია, ამიტომ მას უწოდებენ ვერცხლის ალვის ხეს, რომ ამით გარჩიონ იგი შავი ანუ თრთო. ლავი ალვის ხის — ვერხვისაგან, რომლის ფოთლები წააგავნან მკენარე ფათალოს ფოთლებს და მუდამ თრთოლავენ.

თუ იმ აზრს დავეთანხმებით, რომელიც ხალხშია გავრცელებული, რომ იუდამ ვერხვის ხეზე ჩამოიდრჩო თავიო, მაშინ ადვილი გასაგები იქნება მოციქულის პეტრეს სიტყვები. უველამ იცის, რომ ვერხვის ხის ტოტები ძალიან ადვილად იმტვრევიან და ცოტაოდენ სიმძიმესაც ვერ უძლებენ. ამიტომ ადვილად მოტყუდებოდა ის ტოტი, რომელზედაც ჩამოკიდებული იყო იუდა. სრულებით უადგილოა ის მოსაზრება, რომ ალბად ბაწარი, რომლითაც ჩამოკიდებული იყო ხეზე იუდა, გაწყდა, ან გაჭრეს, როცა გამცემლის სხეულის ჩამოღება უნდოდათო, და ამიტომ იუდას სხეული დაეცა მიწაზე და გასქდა იგიო. ძალიან შესაძლებელია, რომ ეს «დაწვევლილი ვერხვი» ხარობდა რომელიმე მთის მდინარის პირად, სადაც უმეტესად ხარობს ეს ხე და ხრამში ჩავარდნილი სხეული იუდასი უსათუოდ გასქდებოდა, როგორც ამას მოგვითხრობს წმ. მოციქული პეტრე, რომელიც ამბობს: «საბრალო გამცემელს გაუსქდა მუცელი და განიბნინეს ყოველნი ნაწლევნი მისნი».

ქ რ ი ს ტ ე ა ლ ს დ გ ა !

ქრისტე აღსდგა! იხარებდით ქრისტეს მორწმუნენი ერნი, ქრისტე აღსდგა! განიბნინედ მისი ორგული და მტერნი.

ქრისტე აღსდგა! ეშმაკები განდევნა და გადაჰყარა, ჯოჯოხეთი დააქცია, მორწმუნენი გაახარა.

ქრისტე აღსდგა! ანგელოსნი იხარებენ ცათა შინა, «ესე არს დღე ერთშაბათი, ვინარებდეთ ამას შინა».

ქრისტე აღსდგა! გამოგვიხსნა, ცოდვათაგან განგვამართლა, ბნელში მყოფი სინათლეში გავვიყვანა, განგვანათლა.

ქრისტე აღსდგა! დაცემული ადგვადგინა, ადგვამადლა, ედემი, ჩვენთვის დახმული, დაგვიბრუნა, განგვიახლა.

ქრისტე აღსდგა! დაგვიტოვა მშვიდობა და მისი მცნება: გიუვარდესთო ერთმანეთი; ასე არის მისი ნება.

მისი მცნება დავიმარხოთ, შვივივართო ერთმანეთი, შვივივართო მამა, ძე და სული წმიდა ერთი დმერთი.

ჩვენ სუსტნი ვართ ბუნებითა და დღითი დღე ვსცოდავთ მარად-შვივივდროთ მაცხოვარსა, რომ ის გვაუვდეს მწუდ და ფარად-წმიდა, უბიწო ცხოვრება ჩვენს თავს ვაღბად დაუდგინოთ, ცოდვათაგან ვინსნათ თავი და ღვთაებრივ აღვადგინოთ.

ჩაუდენ საჯაოხელი.

ს ა ი ს ტ ო რ ი ო მ ა ს ა ლ ა .

გ უ ჯ რ ე ბ ი

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა \*).

ნ ა თ ლ ი ს მ ც მ ე ლ ს .

1764 წ. ჩვენ ყოვლისა საქართველოსა და აღ-  
მოსავლეთისა კათოლიკოზ პატრიარქმა მეფის ძემ  
ანტონი ესე წიგნი მოგართევით ჩვენ სასოხ მრავალ  
მთის მონასტერს ნათლის-მცემელს და მის წინამძღ-  
ვარს სიმონს <sup>1)</sup> და მათს კრებულთა რომ ჩემს ძმას მე-  
ფეს ირაკლის მათს სიმაღლესაც გაერიგებინა და ჩვენ  
სამლოცველად და საგარეჯოდამ ჩვენის სარგოდამენ  
წელიწადში ორი საპალნე ღვინო მოგერთმოდეს ნათ-  
ლის მცემლის მონასტერსა და ოცი კოდი პური ჯი-  
მითიღმე ჩვენის კოდის პურიღამენ მოგერთმოდეს ამის  
მიზეზისაგანა რომ ღიახ ავის დროსა და ლეკის აორე-  
ბისაგან ღიახ საქმე გასჭირებოდათ თქვენს მონას-  
ტერსა და მას შინა მდგომთა კრებულთა და ეს  
ჩვენგან მორთმეული მცირელი შესაწირავი ყოველს  
წელიწადს უკლებლად მოგერთმოდეს. დაიწერა წელსა  
ჩჲა და თეგსა იენისსა მრ-სა დღესა.

კ ა თ ო ლ ი კ ო ს ი ა ნ ტ ო ნ ა .

წ. ჩვენ ყოვლისა საქართველოს კათოლიკოზ  
პატრიარქი მეფის ირაკლის ანტონი ამ წერილს ჩვენ-  
სა ვამტკიცებთ თებერვლის ს.

კ ა თ ო ლ ი კ ო ს ა ნ ტ ო ნ .

ნ ა თ ლ ი ს მ ც . უ ლ ა ბ ნ ო .

1779 წ. ჩვენ საიმერეთოს მეფის ძემ ალექსან-  
დრემ ეს წიგნი და პირობა მოგერთვით ნათლის  
მცემლის უღაბნოს მამასა წმინდას ეფთვიმე ასე რო-  
მე მანამდის ჩვენ ცოცხალი გახლდეთ იმ მონასტრის  
მადლით და თქვენის მადლით ნიადაგ წელიწადს ას  
მარჩილს თეთრს და ან ერთს ჯორს და ან ერთს  
იაბოს ამას უნაკლულოდ მოგართმევდეთ ხოლმე

\*) იხ. «მწუქესია»-ს № 6.

შენამუნა. <sup>1)</sup> დ. ფურცელაძე ან ახსენიებს წინამძღ-  
ვარს სიმონს და მისეზს, რომელმაც აამუღა ქათოლი-  
კოსი ანტონი შესაწირავი მიუწოძია მონასტრისათვის  
(იერ. გუბ. გვ. 73).

ჩვენის საოხათ და ხარციელის ხსენის საკურნებლად  
რომ მარად სასოება გვაქვს და დიდებულს მონას-  
ტერში და თქვენის სიწმინდეზედ თქვენც ჩვენი  
მლოცველნი ძლევის მიმართ მავედრებელი უნდა  
ბძანდებოდეთ თქვენის კრებულთითურთ როგორც  
თქვენგან ნაბოძები წიგნი გვიცხადებს და ჩვენგანაც  
ნიადაგ წელს ეს ზემო ხსენებული მოსახსენებელი  
მოგერთმევით ა ავისტოს ბბ ქორონიკონს (შახ.)

მ ე ფ ა ს ძ ე ა ლ ე კ ს ა ნ დ რ ე . <sup>1)</sup>

ი ო ა ნ ე ნ ა თ ლ . მ ც მ . მ ო ნ ა ს ტ ო რ ა .

1689 წ. წ: ნებითა და შეწვევით მღვთისათა ჩვენ  
მღვიანებგმან ბარძიმმცირე ესე შესაწირავი მოგართვი  
და წლითი წლად მოგახსენე სულისა ჩვენისა სახს-  
რად და დღეთა ჩვენთა კეთილად წარსამართებლად  
იოვანე წინა მორბედ უფლისაო მონასტერსა თქვენ-  
სა და ვინც იქ შეკრებულებიყვნენ ჩვენგან მიერთმეო-  
დეს ყოველს წელიწადს ოცდა ხუთი კოდა პური  
სამი საპალნე ღვინო ხუთი ლიტრა ზეთი ორი ლი-  
ტრა სანთელი იქ მდგომნი მწირველნი ვინც მღვდელ-  
ნი და მთავარ ღიაკონნი იყვნენ თორმეტ საუფლო  
დღეს ჩვენდა სასულიეროდ და სადღეგძელოდ ჟამს  
სწირევდენ და ამათ საწირავს ცალკე მივართვამთ  
იანერის ა ქორონიკონსა ტოზ (1689). <sup>2)</sup>

გ ო მ ე ს ა .

1800 წ. მათის უმაღლესობას ბედნიერის ხელმ-  
წიფის წინაშე მოსახსენებელი მათის გრემისა მლო-  
ცველის გრემის კარის ეკლესიის პავლე მღვდლისა.  
მე რომ გახლდი ჩემი სამწყოსსაც მამის ჩემის სამწყ-  
სოც მიეცით. ამას გვედრები უსამწხსო გახლავარ  
ნეკრესელზედ ერთი ოქმი მებოძოს რომ მამის ჩემის  
სამწყსო მამეცეს დეკემბერს მ ქორონიკონს შსს  
(1800) ჩვენ ყოველად სამღვდელთა ნეკრესელი ამ  
ბრძანებას რომელიც მის უმაღლესობას მეფეს გიორ-  
გის უბძანებია ჩვენ მათის მლოცველისათვის ამისი

<sup>1)</sup> შინააწისა ამ გუჟრასა მოჭევის დ. ფურცელაძეს.  
<sup>2)</sup> შინააწისა ამ გუჟრასა იხალე წაგნა დ. ფურცელაძეს.

მოშლა და წინააღმდეგობას არც შეგვიძლიან და ხელსაც ვაწერ დეკემბრის მ ქორონიკონს უპს(1800) ნეკრესელი. 3)

მანდ ჩვენს ეკკლესიაში უნდა იყოს და იმყოფებოდეს ყმაც ჩვენი არს და ეგ ეკკლესიაც და მანდ გაგიწესებია და სამწესოც უკლებათ უნდა მოსტე, რაც რომ ამის მამას სჭეროდეს. დეკემბრის 6 1800 წ.

ბ რ ე მ ი .

1800 წ. ქ. ჩვენი ბძანება არის ნაზირ დავით მერმე გრემს ჩვენი კარის ეკკლესია რომ არის, მაგ ეკკლესიის წინამძღვარი არის დეკანოზი ხელაშვილი გიორგი ერის და მაგ საყდარში ყადიშათ პეტრე მღვდლის შვილი არის სხვას საქმე არავისა აქეს ეგ პეტრე მღვდლის შვილი პავლე მღვდელი უნდა იყოს მთიბათვის 8 ქორონიკონს უპს. შენ რომ მოგეწერა ეს იმისი პასუხი არის კურთხეული მეფის გიორგის ოქმა დავით მაყაშვილთან მიწერილი. — 4)

3) მეფის გიორგის ბძანებით ნეკრესელმა ეკკლესიაც და მისი ყმებიც პავლე მღვდელს უბოძა, რადგან პავლეს მამას სჭერია იგი. აქ გხედავთ ერის შემთხვევას შემკვიდრებით თანამდებობის გადასვლას. უკად. Крест. гр. გვ. 88 и двор. гр. გვ. 9, 11, 12, 14. და ჩემი «ბატონუმობა საქართველოში» გვ. 120. ეს კითხვა იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროდ მიგვაჩნა მას ცალკე წიგნი უმდგნათ.

დ. თურტულაძეს ეს გუჯარა არ აქვს დაბეჭდილი. ხოლო კვლად ჩეღეთის წალს ზებით აღაზანს ერთვის საბუჯარემის წყალი, გამომდინარე დადოეთსა და ამას შორის გაკვასს და მომდინარე ვითარცა წინა. ნი მდინარეები: ამ წყალზედ არს გრემი, რომელ ქმნეს ქალაქად ქორონიკონსა 1466, შემდგომად განდგომილებისა კახთა მეპატრონეთა და შეყოფდენ მუნ... (კახუშტი, გოგრაფია გვ. 316.

4) ეს გუჯარა შეადგენს მეფის ბძანებას პეტრე მღვდლის თხოვნაზედ. თავის განგარგულება მეფეს მტყუას სისრულეში ნაზირ დავით მაყაშვილის შემწეობით. ჩვენი უმაღლესი მთავრობის საქმის წარმოება იხსტება:

დ. თურტულაძეს არ აქვს მოკვანილი ეს გუჯარა. ზოგან და ზოგან მცირედა შესწორება შეგუბებს გუჯარაში, როცა იგი დამასინჯებულია ბნელი ადმინისტრაციული ენით.

თ ე ლ ა გ ი ა ს ა .

1790 წ. როდესაც მათმან უმაღლესობამ მეფემან საქართველოისამან ირაკლი მეორემან ინება და წინამძღურობა მიბოძა თელავის კარის ეკკლესიისა და გრემის ეკკლესიისა იმის წინა წელიწადს იმ კარის ეკკლესიაში იმყოფებოდა მღვდელი იოანე ხირსელი მეფისაგანვე დადგინებული სოფლის საცთურით (?) აიღო ხელი და ისევე თელავს კარის ეკკლესიის კრებულთან ეკკლესიაში განწესდა იოანე მღვდელი ხირსელი, დარჩა ის კარის ეკკლესია უმღვდლოდ. მაშინ მიბრძანა მისმან უმაღლესობამან წინამძღვარო გრიგოლ ეცადე და ერთი მღვდელი დაუდგინე ამ ეკკლესიასაო მე ბრძანებისაებრ გულსმოდგინე ვიქმენ და აღვასრულე გზოვე პატიოსანი მღვდელი პეტრე პირველ მრხლოძელი იყალთოს ეს ბატონის ბრძანებული გამოგიცხადე და შენც ინებე აიყარე შენის ცოლით და შვილით და ყოვლის შენის საცხოვრებლით მიხეველ და იმ ეკკლესიაში დასდგე. ეკკლესიის წირვა და ლოცვა განუწესე და რომელიც მღვდელობის წესია ისე მსახურზედ ეკკლესიისა, ამ ეკკლესიის გაუყეთებინე მევე ბარძიშფეხუმი ვეცხლისა თორმეტის თუმნისა და დავსდგი საღიღებლად ჩვენის ხელმწიფისა რადკან შევიქენ შენის იქ დაყენების მიზეზი და შენც გულს მოდგინე იქმენ. ამისთვის ეს წერილი მოგვეც თუ შენს სახლში სამღვდლო კაცი არ აღიხოცოს ის ეკკლესია არ გამოგერთოს მისი უმაღლესობის ბრძანებას გარდა. აგრევე არცა სხვათა წინამძღვართაგან. და რაც იმ ეკკლესიის შემოსავალი აქეს არცარა საქმე იმისთანა აქესთ სხვათა ეს წიგნი მტკიცედ მომიცია მე კარის ეკკლესიის წინამძღუარს გრიგოლს: პეტრე მღვდელი შენთვის და შვილთათვის ოკლამბერს 8 (7) ქორონიკონს უპს (1790) (ბექელი) ქ. როდესაც კურთხეულმა მეფე გიორგიმ კარის წინამძღვრობაში გიბოძა მაშინ ეს წერილი ამ პავლე მღვდელმა წარმომიყენა გრიგოლ წინამძღვარს მიეცა ეს წერილი მეც ამისი თანხმა შევიქენ რომ ამ პავლე მღვდლის მეტს მღვდელს იმ ეკკლესიაში საქმე არავისა აქეს. ამისი არის კურთხეულთ მეფეთაგან ნაბოძები და ჩვენც როგორც იმათ უბოძებიათ ის ბრძანება აღგვიასრულებია. ივლისის 4 (20) ქორონიკონს უპს (1800) (ბექელი)

კარის წინამძღვარი ელევთუან (?)



ჩვენ მეფე სრულიად საქართველოსა ირაკლი მეორე ვამტკიცებთ <sup>1)</sup> ამ წიგნსა გიორგობისთვის 16, 1794 წ. ჩვენ ბატონისშვილი იულონ ამ წიგნსა ვამტკიცებთ რაგვართაც წინამძღვარს გრიგოლს დაუყენებია და შემდგომ მათს უმაღლესობას დაუმტკიცებია ჩვენც ისე დაგვიმტკიცებია და დაგვიყენებია ამ ეკკლესიაში სეკლემბრის 13, 1795 წ. (ბექელი)

1793 ქ: ღვთით მათის დიდებულების ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ჭირი მისცეს თქვენს სამარადისოდ მლოცველს თქვენს საცოდავს მოხუცებულს წინამძღვარს თეოდოსის: უმოწყალებო ხელმწიფეო რა მადლობა მოგახსენო ესე ვითარცასათეინ მოწყალებისა ყოვლად სურვიელ ვიყავ საფლავისა ჩემისა და აწ მებოძა. ღმერთმან ყოველთამან აღიღოს და აღამაღლოს კეთილ მსახური სიმაღლე თქვენი ვითარდავით და კონსტანტინესი ღვთის მოყვარეო მეფეო თუ ღოდო აშენდება და ჩვენ მზა ვიყავით ვიღრე სიკვდილადმდე, და თუ არ იქნება აშენება ვევედრებით და ვით გარესჯას არ ჩამოერთოს ეს ღოდოს მამული და საქმე გაჭირებული აქვს დღეს მონასტრისა და ამ მიზეზთა ძალით ვჰბედავთ მოხსენებას, და ვევედრებით მეც და ჩემთანა ესე ძმანიცა რომ უძვირეს პირველის არ იქნას და ნება თქვენს სიმ:ლისა უმოწყალებო ხელმწიფეო: ოკლომბერს: მკ: ქორონიკონს შპა (1803) ქ: ჩვენ მაგიერად დავით გარესჯის წინამძღვარს თეოდოსის ასე უამხეთ მბრე, როგორც ამ არხით გითხოვნია წმინდის ღოდოს შემოსავალი არ ჩამომირთმეგია სრულებით შენ უნდა მიიღო და (შეგვატყობინო) შემოსავლის ერთობა უნდა შეგვატყობინო რომ იმისი მაგიერი იმ მონასტრისათვის კიდევ ჩვენ უნდა დავსდეთ, ყოვლად სამღვდელოვ უფალო ნინო წმინდლო იოანე ღოდოს შემოსავალი სრულებით წმინდის დავით გარესჯის წინამძღვარს თეოდოსის მოხარე ახლავ ოკლომბერს მს ქორონიკონს შპა (ბექელი) ქ: ჩვენ საქართველოს უფლის წულ მეფის ძე გიორგი ამ ბატონის ძმის ჩვენის ბრძანებას ვამტკიცებთ ოკტომბრის 12 <sup>2)</sup> ქორონიკონსა შპა (ბექელი გიორგისი).

ნ ა ნ ა წ მ ა ნ დ ა ს .

1757 წ. ქ. იდიღებოდენ ყოვლად ყოველსა ერთობასა შინა სამობა, და ყოვლად ყოველსა სამობასა შინა ერთობაჲ; თვისისა ერთობისა მიერ მრავალთა განყოფაჲ, და სამობისა მიერ ყოველთა ერთობა მრავალთა ქმნულთა ზედა, და ყოველთა აგებულთა ზედა, რაიცა ყოველთა ღმერთთა ზესთა ღმერთ არს, და ყოველთა ერთთა ზესთა ერთ არს: და რომლისაღმი ყოველთა ზოგადთა და კერძოთა შინა, და უქმთა უშეთა სხეულთა შინა, არსთა ძერთა გრძნობათა შინა, და მსიყუთთა სულთა და გონებათა შინა, თვისისა საწყურისა ერთობა და შექმობა ილაღადება მყოფობისა და ცხოველობისა წადილი ჯღსახმილდება, და ელვა სურვილისა ზესთ ეთერისა, და ზესთ სამყაროისა და თვით მათ ძალთა და საყდართადმი, მიეფინება: მის საუყურისა ძალისათა და ზესთ საუყურისა ძალისათა რომლისა ხედვია ქმულთა პირველ ქმნისა და ვიდრე აღსასრულადმი არსთა განზომალა და განზრახვია უმჯობესსა ჩვენსა წინაით განაგებდა: და რომლისა მიმართ დასაბამობით და საკუთრებით და ტომობით ვიდრე მე ჩვენი, და ჩვენთანავე დაუმდაბლებელითა თანა დაგლახაკებითა თანად ჩვენთანა ღირსაცა მამაი მომხსენეო ელოცვიდა სიტყვადი შენიო რომელ არს მასწავე ნებაი შენიო, მან ჩვენცა მოგუახსენა მონათა, თანა ღვთითა დედისა ქალწულისა და ჩვენისა ვიტყვი მომკუდრისა ბუნებისა შორის ძალად უკუდავეებისა მოქმედებად მომყვანებელისა მარამ საკნისა სძლისათა: ხოლო შეწვენითა ყოველთა ხილულთა და უხილავთა ძტერთა საქმეველისა ჯუარისაითა ესე აღრჩევა და კეთილად განრჩევა განვაგეთ და განვაწესეთ ჩვენ ღუთივ ცხებულმან მეფემან ქართველთამან თეიმურაზ, და ძემან ჩვენმან მეფემან კახთამან ირაკლიმ და ყოველისა საქართველოსა კათალიკოზ პატრიარხმან იოსებ: <sup>1)</sup> ოდეს მოკლებითა კეთილისაითა, და განმრავლებითა სიბოროტისაითა ცუდვთა ჩვენთა მიერ მოაკლდეს და შემკრდეს და რომელნიმე სამარადისოთ აღობრდეს წმიდანი ეკლესიანი: და განმრავლდეს უსჯუ-

<sup>1)</sup> ამ დროს შპ. იოსელიანს არ ჰქვას მოხსენებული კათალიკოზი იოსებ (6 древн. Тифлиса) იოსებ იყო კათალიკოზად სოლომონ I დროს იშვრეთში. იგი იხსენება გუგარში 1774 წ.

<sup>1)</sup> დ. ფურცლადქს არ დაუბეჭდა ეს გუგარში.  
<sup>2)</sup> დ. ფურცლადქს არ დაუბეჭდა ეს გუგარში.

ლოთი მიერნი ჩვენსაზე დაობრება და ტყეობა მწარე მას ჟამსა ქვეყანასა კახთასა ფრად მოკლებული სა- ეპისკოპოსო დაუშენი ეკლესია ქერემლისა სრულიად ოხრ და შენებულება ტაძრისა დაქცეულ და ყოველად უკაცრულად იმყოფებოდა: რამეთუ მრავლით ჟამითგანვე, პირველ ჩვენსა წარტყვენილ და მოხრებულ იყო: და ჩვენ მას ეკლესიასა შინა ეპისკოპოსი ძისი თვისსა საყდარს- ზედა მჯდომარე არა გვეხილვა: ხოლო შემოსავალნი და რაიცა სარგო მის ეკლესიისა თვისსა აღვილსა და სამწყსოსათა შინა აღიღებოდა, სრულიად ცუდათ წარეგებოდა არც მის ეკლესიისა წარსამატებლად და აღსაშენებლად წარეგებოდა, არცა მისთვის დამარხებოდა: და ვინაიდგან ესე ესრეთ იყო აღშენებასა და განახლებასა მისსა, ფრადი ჭირი და სახმარი უხმდა, და ესე არა ძალ გვედგა და უსჯულოთა მტერთა მარადის ზედა მოსვლისა და ბრძოლისაგან, მას შინა სამღუდლოთა ანუ საეროთა მკვიდრობაი, არა იქმნებოდა: ამისთვის ესე ესრეთ განვიზრახეთ და განვაწყესეთ, რათა ეკლესიისა შემოსავალნი ვგრეთვე ეკლესიათა შეეძინებოდეს და ცუდად არა წარეგებოდეს; და ამის მიზეზისათვის სამთა ეპისკოპოსთა თვისსა ეკლესიასა შინა მყოფთა და შენთა და განკარგულთა განუწაღეთ და ყოველივე საჭერემლოი, რაიცა შემოსავალი იყო სამათ განუყავით ვითარცა აქა აღგვიწერიეს, და მის საეპისკოპოსოსა სოფლისა და სამწყსოთა გამოსაღებთა და დრამათა და ყოველთავე საჭერემლოსა გამოსავალთა ესე ეპისკოპოსნი აღიღებდენ, და თვისსა ეკლესიასა ახმარებდენ და მათს ზედა წარაგებდენ. გარნა ესეცა განჩინება და ბრძანებაი და გვიძს რათა ჟამი თუცა მოიწიოს და ოდესცა ინებოს მეუფემან ჩვენმან ქრისტემან და მოწყალებით მოხედვა ყოს და მშვიდობა მოჰფინოს რომელ მას ეკლესიასა შინა თვისსა ეპისკოპოსსა დადგრომა და მას შინა მკვიდრობაი ძალ ედვას, თინიერ ყოელისა სიტყვისა და ყოელისა ცილობისა თვისი მამული და სამწყსო და რაიცა შემოსავალი და სარგო მისი იყოს ყოველივე მის ეკლესიისა ეპისკოპოსსა მიეცეს უკლებად და უცილებელად. და უსიტყველად. ხოლო სამთა ამათ ეპისკოპოსთა ამა ალავერდელსა, ბოდბელ მიტროპოლიტსა და ნინო წმიდელსა მიეცა სამწყსო საჭერემლოც ესენი: უფალს აძბა ალავერდელს ენდრონიკაშვილს ნიკოლოზსა ერგო სამწყსო საჭერემლოსი სოფელი კონდოლი სრულიად: სოფელი კირის ხევი

